სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/192

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2025 წ.

2025-2026 სასწავლო წლის პირველი (ზამთრის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე რექტორის თამარ წერეთლის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის №01-05-02/28.ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2025-2026 სასწავლო წლის პირველი (ზამთრის) სემესტრში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე შეიძლება გადაყვანილ იქნეს ბაკალავრიატისა, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ყველა კურსის შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:
   ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;
   ბ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის (3 წლამდე) დედები;
   გ) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეები;
   დ) სტუ-ს სპორტული ნაკრების წევრები;
   ე) სტუ-ს შემოქმედებით ან სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი, და ა.შ) გაერთიანებული სტუდენტები;
   ვ) საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში (პროფილით/ სპეციალობით) და სახელმწიფო სტრუქტურებში (მუნიციპალიტეტში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებულნი, სტუ-ის რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფნი;

ზ) სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოების წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები;

თ) ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით პერსონალურად განსაზღვრული სხვა კატეგორიის სტუდენტი.

2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის მიზნით, პირველი პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი კატეგორიის სტუდენტმა, 2025 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, შესაბამისი ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია:

   ა) ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100;

   ბ) 3 წლამდე ასაკის ბავშვის დაბადების მოწმობა;

   გ) შესაბამისი ფედერაციის, კლუბის (უმაღლესი ლიგა), სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა ოფიციალურ ბლანკზე ხელმოწერით;

   დ) ცნობა სამსახურიდან, დამოწმებული და ხელმოწერით;

   ე) ხელფასის ბოლო 3 სამი თვის ამონაწერი.

3. ფაკულტეტის მენეჯერი უზუნველყოფს სტუდენტის განცხადებისა და სათანადო დოკუმენტაციის მიღებას, რის შემდეგაც მენეჯერის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი და სტუდენტთა სიები შესამოწმებლად გადაეცემა სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და შიდა აუდიტის სამსახურს, რომლებიც შეამოწმებენ წარმოდგენილ დოკუმენტაციას არა უგვიანეს 2026 წლის 15 იანვრისა ხოლო შემდეგ სტუდენტთა სიები გადაეცემა სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს.

4. სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უზრუნველყოფს რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**